სამშაბათი, 24 თებერვალი 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-დამერვე 1904 სამშაბათი, 24 თებერვალი 1904 წ.


**გაზეთის ფასი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 | თვით | 10 მ. | — კ. |
| 11 | ,, | 9 ,, | 50 ,, |
| 10 | ,, | 8 ,, | 75 ,, |
| 8 | ,, | 8 ,, | — ,, |
| 9 | ,, | 7 ,, | 25 ,, |
| 7 | ,, | 6 ,, | 50 ,, |
| 6 | ,, | 6 ,, | ,, |
| 5 | ,, | 5 ,, | 50 ,, |
| 4 | ,, | 4 ,, | 75 ,, |
| 3 | ,, | 3 ,, | 50 ,, |
| 2 | ,, | 2 ,, | 75 ,, |
| 1 | ,, | 1 ,, | 50 ,, |

# ივერია

№ 48 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 48

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს 3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ., თიბათვის 1-ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.



გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

## ლალაში

დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა,

ავტორის სურათით და წინასიტყვაობით,

თარგმანი გრ. ყიფშიძისა.

გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.

**ფასი ერთი მანეთი**

„ივერიის" ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ამ პიესის წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად საცენზურო წესდების 1864 მუხლის ძალით აკრძალულია.

## 1904 წელს

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია"

გამოდის იმავე სივრცით და სრულის პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა.

ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ **თუმანია**. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

**5** მანეთად ტფილისში და **7** მანეთად ტფილისს გარეშე

დაეთმობათ გაზეთი პრემიოდ: სოფლის მასწავლებელთ, უფასო სამკითხველოებსა, უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეთ და ყველა ხელოსანს. ამათაც შეუძლიანთ ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანონ.

გაზ. „ივერიის" **კანტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდამ 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

რედაქციას ნება აქვს შეამოკლოს და შეასწოროს დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილი, არ დაბეჭდილ წერილების შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.

## ხელის-მოწერა მიიღება:

**ტფილისში:**—„ივერიის" რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა.

**ქუთაისში:**—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანეიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ბათუმში:**—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

**საგურამოში:**—პეტრე მაჭავარიანთან.

**შორაპანში:**—პართენ ნასიძესთან.

**განჯაში:**—სოფრომ კანდელაკთან (სადგურზედ).

**გორში:**—ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—10 კაპ., მთელი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

**საფოსტო ადრესი:** Тифлисъ, Редакція „Иверіа".

რონინაშვილისეული ფოტოგრაფია.

1903 წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავ. საზოგადოების

## ფოტოგრაფია

რონინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი),

## იჯარით აქვს

და სრულიად ახლად მოაწყო იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;

2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;

3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, **მეცამეტე სურათი, მიეცემა მუქთად** აკვარელით (ფერადებით) **საუცხოოდ დახატული**.

4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასასყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, ინახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლეთ ფოტოგრაფია დაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სამოხის მე მომცელიძე**.

## ქართული თეატრი

სამშაბათს, 24 თებერვალს,

ქართულ დრამატიულ დასის არტისტების მიერ

წარმოდგენილი იქნება

I

**ყაჩაღი არსენა**

დრამა 3 მოქ. ა. ყაზბეგისა.

II

## არკადიას სადილი

კომ. 3 მოქ., ნ. გალუსტოვისა.

მონაწილეობენ: ქ-ნნი: დავითაშვილი, ნებიერიძისა, ბ-ნნი: ბაქრაძე, ბეგლარიძე, ბარველი, გვარაძე, იმედაშვილი, მატარაძე, საფაროვი, სარჯველაძე, ჭელიძე და სხვ.

ადგილების ფასი: 50—1 მ. 50-მდე.

გალერეა 20—35 კაპეიკამდე.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზედ.

გამგე ა. იმედაშვილი.

(3—6—3)

## ექიმი

## ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე.

ნიკოლოზის ქუჩა, № 46.

**ქართველნი მკურნალნი:**

**ბძელიშვილი კონსტანტინე** გლისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

**გედევანიშვილი მიხეილ**,—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**გაბაშვილი გრიგოლ**,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩაძე სპირიდონ**. პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

ტფილისის სახაზინო თეატრი

**რუსული ოპერა**

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

**სამშაბათს, 24 თებერვალს 1904 წ.**,

წარმოდგენილი იქნება

## რუსალკა

ოპერა 4 მოქ. 6 სურ., მუსიკა დარგომიჟსკისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: დუბროვსკაია, ტურჩანინოვა, იანსა, ბოლდრინი; ბ-ნნი: კარჟევინი, ბუხტოიაროვი, კავრილოვი.

ცეკვას მოაწყობს ბალეტმეისტერი ბ-ნი ვიტტიგი

რეჟისორი ა. დ. ბელსკი

კაპელმეისტერი ე. დ. ესპოზიტო.

დასაწყისი საღამოს 8 საათ.

ოთხშაბათს, 25 თებერვალს, ფიგნერისა, კამიონსკისა და ბობროვა-პფეიფერის მონაწილეობით, წარმოდგენილი იქნება «ტრავიატა», ოპერა 4 მოქმ., მუსიკა ვერდისა.

**ფოთის სამარხის კასის**

## გამგეობა

აუწყებს ბ-ნთ წევრთ, რომ კვირას, ამა წლის 7 მარტს, ფოთის ქალაქის გამგეობაში დანიშნულია

## საზოგადო კრება

კასის წევრთა, რომელმაც უნდა განიხილოს ანგარიში 1903 წლისა, აირჩიოს თანამდებობის კაცნი, განიხილოს საქმე გამგეობის წევრთათვის გასამრჯელოს დანიშვნისა და მსჯელობა იქონიოს საჩივრების შესახებ, რომ კასამ ფული არ მისცა დასამარხად იმ წევრის ჭირისუფალთ, რომელმაც თავი მოიკლა.

(3—6—1)

**ექიმთა, ადვოკატთა და სხვა ხელობის პირთა საყურადღებოდ.**

„ივერიის" რედაქცია ამით აცხადებს, რომ საზოგადოების მოთხოვნილებისა გამო, საჭიროდ სცნო ჰბეჭდოს ხოლმე ამა თუ იმ ხელობის კაცთა ადრესები. ამიტომ, აარსებს რა გაზეთ „ივერიაში" ამგვარ განყოფილებას, აუწყებს მსურველთ, რომ მათ ყოველ დღე შეუძლიანთ,—დილის 12 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე, მიჰმართონ რედაქციას და შეატყობინონ თავიანთი ხელობა და ადრესი. თითო ადრესის ბეჭდვა ამ წლის განმავლობაში ეღირება მხოლოდ **ხუთი მანეთი** (5 **მან.**).

კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში

## ისყიდება

2 და 3 წლის საუკეთესო ხარისხის ვაშლისა, მსხლისა და სხვა ხეხილი, მებაღის პაჟი იზმაილოვ ოლლის ბაღიდან ჩამოტანილი.

(3—42—3)

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში

**ჩემი თავგადასავალი.**

აკაკისა

ფასი 1 მანეთი.

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დ ი ლ ი თ:**

**ვ. ი. ჯიჯინაძე.** კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

**ა. ნ. დიასამიძე.** 11—12 საათ.

**ნ. ტ. მუღინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

**ა. გ. მაღალაშვილი.** შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

**ვ. დ. ლამბაშიძე.** შინაგ. და ბავშვ. ორშ. ბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვების- და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**გრ. ვ. სოგოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**ვ. მ. მანსვეტოვი**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ა. გ. მაღალაშვილი.** შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ:**

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე ყელისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. აჰვეტისიანცი.** 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**გ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

**გ. ს. ლევი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**ვ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

წლ.


ტფილისი, 24 თებერვალი.

ჩვენის გაზეთის მე-45 ნომერში მოთავსებული იყო საოლქო მეთვალყურის დეკანოზის ი. ვოსტორგოვის აზრი სამეგრელოში ქართულის ენის არსებობის შესახებ.

დარწმუნებულნი ვართ, რომ ეს აზრი მამა ვოსტორგოვის კერძო აზრია, მისი შეხედულებაა და ჟურნალ-გაზეთობას თამამად შეუძლიან განიხილოს, თვისის მსჯელობის საგნად გაიხადოს.

საქართველოს ყველა ეგზარხოსები აქამომდე მეგრელებს ქართველებად სთვლიდნენ და არასოდეს არ სცდილობდნენ სამეგრელოში უცხო ენაზე ღვთის მსახურება შემოეღოთ.

ძველთაგანვე სამეგრელოში ქართულს ენაზე სწარმოებდა მწერლობა და საეკლესიო მოძღვრება; წირვა-ლოცვა კი ამავე ენაზე მეექვსე საუკუნეში გაჩაღდა იქ...

სამეგრელოს მღვდელთ მთავრები და მღვდლები ერს ქართულს ენაზე უქადაგებდნენ სიტყვას ღვთისას; თვით სამეგრელოს უფროსი მღვდელთ-მთავრები—ჭყონდიდლები—(XI XII საუკ.) საქართველოს მეფეების მახლობელნი იყვნენ.. მთელს სამეგრელოში განთქმული იყო მეთვრამეტე საუკუნის მიწურულში ანტონ ჭყონდიდელი, მჭევრმეტყველი მქადაგებელი. მისს ქადაგებას მეგრელები ქართულს ენაზე ისმენდნენ.

მართალია, არის განსხვავება ქართულსა და მეგრულს შორის, მაგრამ არც ისეთი არსებითი, არც ისეთი შესამჩნევი, რომ მეგრელმა ბავშვმა ვერ გაიგოს ქართული ლაპარაკი, თუ ქართველი კარგად ლაპარაკობს ქართულს და განგებ არ ამახინჯებს ენას სხვა-და-სხვა ფარულის განზრახვით... ქართველი რომ იტყვის „შოსავალს", მეგრელი «სამუშევარს» იტყვის, და ნუ თუ ქართველი ვერ გაიგებს მეგრელის ამ სიტყვას, ან მეგრელი ქართველის სიტყვას?!. მეგრული კილო რომ გააუმჯობესო, ლიტერატურულის ენის ხასიათი მისცე, ქართული ენა გამოვა; ასე რომ, მეგრელი ადვილად ითვისებს ქართულს,—სულ ბევრი, ბევრი, სამი ოთხი დღე, თუნდ ერთი კვირა საკმაოა, რომ მეგრელმა წმინდა ქართულის ენით ლაპარაკი დაიწყოს... ნუ თუ ეს მოსახერხებელი იქნება იმ შემთხვევაში, უკეთუ მეგრული ისე დაშორებული იქნება ქართულზე, როგორც ლიტვური ენაა რუსულზე დაშორებული?!. ორი მესამედი მეგრულის სიტყვებისა წმინდა ქართული სიტყვებია, და ერთი მესამედიც ქართულის ფესვისაა. ასე რომ, მეგრულს ენას არ შეიძლება განსაკუთრებული ენა დავარქვათ, უფრო შესაბამი იქნება კილოკავი ვუწოდოთ.

თუ მეგრელებმა არ იცოდნენ ძველად ქართული და არც ესმოდათ, მაშ ვისთვის იწუხებდა თავს ანტონ ჭყონდიდელი? ვისთვის იტყოდა თავისს ქართულს მოძღვრებას?! ნუ თუ ტაძრის კედელს უქადაგებდა ქართულად?! არა და არა!! მეგრელებს ესმოდათ და დღესაც ესმით ქართული ენა, იცოდნენ და იციან ეს ენა, როგორც მშობლიური ენა, რომელსაც ღრმად გადგმული აქვს ფესვი მეგრელის ბუნებაში, მისს სულსა და გულში. საუკეთესო მცოდნენი ქართულის ენისა სამეგრელოში არიან...

სრულიად დარწმუნებულნი ვართ. რომ უწმინდესი სინოდი, როგორც სამართლმადიდებლო ეკკლესიის წარმომადგენელი, არ მოისპობს სამეგრელოში ქართულს ენაზე წირვა-ლოცვას... ასეთი განკარგულება უკვე კარგა ხანია მოახდინა სინოდმა სოხუმის ეპარქიის მეგრელთათვის... რუსეთის უწმინდესი სინოდი იმის ზრუნვაშია, რომ ყოველმა ერმა შეიყვაროს და შეიტკბოს მართლმადიდებელი სარწმუნოება, და უკეთუ რომელსამე ერს სურს წირვა-ლოცვისა და მღვდელთ-მოქმედების მოსმენა თვის მშობლიურს ენაზე, თვისს სამწერლო, ისტორიულად საღმრთო ენად მიჩნეულს ენაზე, ამას რაღა ემჯობინება?! უწმინდესი სინოდი, როგორც ორგანო სულისა წმინდისა, ასეთს ერს ლოცვა-კურთხევას მიჰფენს... მაშასა-

დამე, რადგანაც ეჭვი არაა, რომ სამეგრელოში დარჩება ქართულს ენაზე წირვა-ლოცვა, უნდა დარჩეს სკოლებში ქართულის ენის სწავლებაც, როგორც ისეთის ენისა, რომელზედაც არსებობს არც თუ ძლიერ ღარიბი მწერლობა საერო და სასულიერო, რომელზედაც მეგრელს შეუძლიან მოისმინოს თვისის მოძღვრის სულიერი დარიგება, ქადაგება, რჩევა.

ეს არის მთელის 300,000 მეგრელის მტკიცე სურვილი სამეგრელოსა და სამურზაყანოში, სურვილი ბუნებრივი, კანონიერი, რომლის შესახებაც ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წარმომადგენელთ წარსულს წელს შუამდგომლობაცკი აღძრეს უმაღლესის მთავრობის წინაშე.

დარწმუნებულნი ვართ, რომ ამ შუამდგომლობას ქართულის ენის უფლებათა შესახებ სამეგრელოში უკვე მსვლელობა ექნება მიცემული.

სამეგრელოს ერს სრული იმედი აქვს თვისის მოწყალე ხელმწიფისა, რომლის მიმართ თავგანწირული ერთგულება დაამტკიცა ყირიმის საშინელის ომის დროს, რისთვისაც უმაღლესი მადლობის და ჯილდოს ღირსი გახდა... რუსეთის მოწყალე გვირგვინოსანი-კი არავის მისცემს ნებას, რომ რომელსამე ერს წაართვას ვინმემ დედა ენა,—ენა მწერლობისა და ღვთის მსახურებისა.

## ომის ამბები

### დეპეშები და წერილები.

როდის გამოუცხადა იაპონიამ რუსეთს მოლაპარაკების მოსპობა?—ნეიტრალიტეტის დარღვევა.—ვისი გამარჯვება უხარიან ინგლისს?—იაპონიის ხერხი და ინგლისის ჩათრევა.—რუსეთის ფინანსები.—იაპონელების გაზეთი ბერლინში.—ნორვეგიული გაზეთები ომის შესახებ.

გაზეთი «ნოვოე ვრემია» ამას წინად იკვლიანობდა, რუსეთთან მოლაპარაკების შეწყვეტამდე ხომ არ დაიწყო იაპონიამ ომიო? ამის შესახებ ცნობები შეუკრებია და გამოურკვევია შემდეგი: მართებლობის «მოამბეში» 7 თებერვალს დაბეჭდილი იყო, რომ 24 იანვარს იაპონიის ელჩს პეტერბურგში ოფიციალური ნოტა მოუვიდა იაპონიის მთავრობისა და იმავე დღეს რუსეთის მთავრობას აცნობა, მოლაპარაკებასა ვსპობთ და ამას იქით თავისუფალი ვართ ისე მოვიქცეთ, როგორც გარემოება მოითხოვს ჩვენის ინტერესების დასაცველადო. იმავე დღეს დაუყოვნებლივ ეცნობა ეს ამბავი მეფის მოადგილეს შორეულ აღმოსავლეთში, ელჩებს ტოკიოსა, პეკინსა და სეულში. ამასთანავე, რუსეთის ელჩებსა და წარმომადგენლებს ყველა სახელმწიფოებში ეუწყათ უმაღლესი ბრძანება, რომ ბარონ როზენმა ტოკიო მიატოვოს. რუსეთის ელჩს ბარონ როზენს, გარდა რუსეთის მთავრობის დეპეშისა, თვით იაპონიის გარეშე საქმეთა სამინისტრომაც აცნობა იმავე 24 იანვარს, მშვიდობიანი დამოკიდებულება რუსეთსა და იაპონიის შორის მოსპობილიაო.

—

იაპონიის ფლოტის პორტ-არტურზე თავდასხმის დროს, 16 თებერვალს, დაღუპულა იაპონიის ჯავშნიანი გემი ანუ რუსეთის ცნობებით, ნაღმიანი გემი. ამ გემის მეზღვაურნი ნავებში ჩამსხდარან და ჩიფუში მისულან; იმავე ღამეს ჩიფუს ნავთსადგურში იაპონიის კრეისერი მისულა ნაღმიანის გემითურთ, დაღუპულ გემის მეზღვაურნი წამოუყვანია და გათენებამდე ნავთსადგურს მოშორებია.

ჩიფუ-ჩინეთის ნავთსადგურია, სანეიტრალო ადგილი. იაპონელების სამხედრო გემები შევიდნენ, წამოიყვანეს იაპონიის აფიცრები და მეზღვაურნი, რომელთაც არავითარი უფლება აღარ აქვთ ომში მონაწილეობა მიიღონ, რაკი სანეიტრალო ადგილზე ფეხი შეუდგამთო,—ამბობს «ნ. ვრ.»—ეს მერამდენედ ირღვევა ნეიტრალიტეტიო?

გემები «ვარიაგი» და «კორეეცი» ნეიტრალურ ქვეყნის ნავთსადგურში იყვნენ; ნეიტრალურ ადგილს მიუხტნენ იაპონიის სამხედრო გემები, ნეიტრალურ ზღვაზე შეებრძოლნენ, დაამარცხეს და შემდეგ დაღუპულ გემების აფიცრები ნეიტრალურ გემებს შეეკედლენ თავსაშველად. მაშ იმათ რაღად ავალებენ პატიოსნურის სიტყვით, რომ ბრძოლაში აღარ გაერივნენო?

—

ინგლისელებსა და ამერიკელებს რუსეთისა და ევროპის მწერლობა უმტკიცებს, რომ იაპონიის გამარჯვება მათთვის უფრო ნაკლებად უნდა აყოს სასურველი ვიდრე რუსეთისაო. დასამტკიცებლად მრავალი საბუთები და მოსაზრება მოჰყავთ. მაგრამ ვერც ინგლისსა და ვერც ამერიკას ვერა შეასმინეს-რა. აქ უფრო ანგარიშის საქმეა, რომელიც ორთავე სახელმწიფოს წარმომადგენელთ კარგად ესმისო,—ამბობს «ნოვ. ვრ.».

ინგლის-ამერიკის მოქიშპე შორეულ აღმოსავლეთში რუსები და იაპონელები არიან. ორთავეს ძლიერი ფლოტი ჰყავს: ორთავენი მკვიდრს ადგილს იჭერენ ჩინეთში. მაშასადამე, ბრძნული პოლიტიკა რას მოითხოვს? იმას, რომ ერთი მეორეს მიუსიო, დეე, ცოტა სისხლი გამოუშვანო.

—

იაპონიამ აცდინა ინგლისიო,—ამბობს «რუს. სლოვო».,თუმცა არ უნდათ გამოტყდნენ, მაგრამ ინგლისელებს ეშინიანთ, ჩვენმა მეგობრებმა მაცდურობით ომში არ ჩაგვითრიონო. იაპონიას საკმარისად მოუგროვდა სამარცხვინო საბუთები ინგლისის გაიძვერაობისა და საიდუმლოების გამოქვეყნებით აშინებს ინგლისს. თუ რომ იაპონია დამარცხდა, ინგლისი იქნება პასუხისმგებელი თავის თავდაჭერილობისა და დარბაისლობისათვის, ისევ ის ურჩევნია იაპონიასთან ერთად იმოქმედოს, ვიდრე მეგობარი არ დამარცხებულა. იქნება საფრანგეთმა საკმარისი მიზეზი ვერ იპოვოს ომში ჩარევისა და მაშინ ინგლისი და იაპონია თამამად იმოქმედებენ შორეულ აღმოსავლეთში. შესაძლოა, იაპონიამ კარგადა ხელთ დაიჭირა ინგლისი და ხელშეკრულობით აცდინა. იაპონელების აზრი ის არის, რომ ევროპიელები გააძევოს შორეულ აღმოსავლეთიდგან; ჯერ რუსეთს მოიშორებს და შემდეგ თვით ინგლისს მიადგება რიგი. ეს სწორედ გამოანგარიშებული დიპლომატიური ხერხია, რომელიც თვით ინგლისმა ასწავლა იაპონიას. დიაღ, «რასაც დასთეს, იმას მოიმკიო». ინგლისმა ასწავლა, როგორ გააძევოს რუსები და შემდეგ სწავლას თვით მასწავლებელსაც მოახმარებს, რადგან იაპონიის ვაჭრებსა და მრეწველობას სულს უხუთავენ ინგლისელები.

—

რუსეთის ფინანსების შესახებ „ოდეს. ნოვ.“. ამბობს:

«რაც უფრო და უფრო იღრუბლება პოლიტიკური ჰორიზონტი, უფრო და უფრო საჭიროდ ხდება მოფიქრება და სწრაფი გადაწყვეტა, საიდგან უნდა დაიფაროს ხარჯი. ჩვენ დიდი, ძალიან დიდი კაპიტალი დაგვჭირდება. სამარ ველის სიშორე, ჯარის გადაგზავნა და დაბანაკება უცხო, გაუნათლებელ ქვეყნებში, ხანგრძლივი ომი და სხვა მრავალი გარემოება მეტად აძნელებს ფინანსიურ საგნების გადაწყვეტას იმ შემთხვევაშიაც კი, მარტო იაპონიასთან რომ გვქონდეს ომი. მაგრამ უკანასკნელი დეპეშები ეჭვს გვიღვიძებს ჩინეთის ნეიტრალიტეტის წინაამღმდეგ და მასთან უფრო საეჭვოა ინგლისისა და ამერიკის ყოფა-ქცევაც. ამას გარდა, განა შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ ბალკანეთის საქმეები უჩვენოდ გადაწყდეს? ყოველ შემთხვევისათვის ჩვენ მზად უნდა ვიყვნეთ და უპირველესად ფული გვინდა, ძალიან ბევრი ფული.

ჩვენ ეხლა გვაქვს ხაზინის ნაღდი თანხა, რომელიც 1 იანვრისათვის იყო და, საგანგებო ხარჯებს გარდა, არ აღემატებოდა 135 მილიონ მანათს. ვსთქვათ ერთი ამდენიც გადავანარჩუნოთ ხელმომჭირნეობით, ჩვეულებრივ თუ საგანგებო ხარჯთა შემცირებით. მაშინ, სულ ბევრი რომ ვსთქვათ, 300 მილიონი გვექნება.

დამტკიცება არ უნდა, რომ ეს ფული დიდხანს არ გვეყოფა, მაშასადამე, ახალ წყაროებზე უნდა ვიფიქროთ და რაც მალე შევუდგებით ამ ზრუნვას, მით უმჯობესი იქმნება,

—

იაპონელებს თავისი საკუთარი გაზეთი ჰქონიათ გერმანულს ენაზედ ბერლინში—«ოსტ-აზიენი», რა თქმა უნდა გაზეთი აზეიადებს იაპონიის გამარჯვების ამბებს. გაზეთი არწმუნებს თავისს მკითხველებს, რომ რუსები მხეცნი და ბარბაროსები არიანო. იმათთან ომში ყველა იპონელმა უნდა იცოდეს, რომ სიკვდილი სჯობია რუსეთის ტყვეობასაო. იაპონიის ჯარის კაცებს სწორედ ასეც აქვთ გადაწყვეტილი: ყველა მათგანი თავის ხელით გაიგმირავს გულს და რუსებს-კი არ დაემორჩილება. მეზღვაურნი გემებსაცა და თავის თავსაც ყუმბარებით ააფეთქებენ და რუსებს-კი არ ჩაუვარდებიან ხელში. თუ რუსები დაატყვევეს იაპონელებმა, ეჭვი არ არის, კარგა მოეპყრობიან, სწორედ ისე, როგორც ჩინელ ტყვეებს უკანასკნელ ომში, თუ უკედ არა, და მაინც და მაინც იმაზე კარგა, ვიდრე თავის ჯარის უფროსები ეპყრობიანო. («პ. ვ.»).

—

ნორვეგიული გაზეთები თავისს თანაგრძნობას არ უცხადებენ არც ერთ მეომარ მხარეს და ურჩევენ მკითხველებს რომ ასე თავდაჭერით იყვნენ.

იაპონიამ, იქნება, ერთხელ და ორჯერ გაიმარჯვოს, მაგრამ ამისთანა უშედეგო გამარჯვება დამარცხებას ემგვანება. ისეთი დიდი ქვეყანა, როგორიც რუსეთია, თავის გეოგრაფიულის მდებარეობის წყალობით, ვერ შესძლებს სწრაფად და ერთბაშად ამხედრდეს და მტერზედ გაილაშქროს. მაგრამ მისი ისტორია ამტკიცებს, რომ ყველა ის ერნი და მეფენი, რომელთაც-კი გაუბედნიათ მისის საზღვრების შელახვა, დაუსჯელნი არ დარჩენილან. აი, ამის გამო ვურჩევთ ყველას, მომავალს გულ დამშვიდებით უყუროს. ვიდრე ორთავე მტერი ხმელეთს ზედ არ შეებმება ერთმანეთს, ომის შედეგზე სჯა და ლაპარაკი ამაოაო. (იქვე).

სტამბოლიდგან გენერალ-ლეიტენანტი რიზა-ფაშა და პოლკის უფროსი ხიფზიბეი გამგზავრებულან ესსენში, სადაც კრუპპის ფირმისაგან 128 მსწრაფლმსროლელი ზარბაზანი უნდა მიიღონ.

დიპლომატებს შეუნიშნავთ, რომ ამ ბოლოს დროს ინგლისმა ოსმალეთში მეტი ნდობა დაიმსახურა და ოსმალეთის მთავრობა მის ზედ-გავლენით მოქმედებს.

ხონთქარს ირადე გამოუცია, რომ მაკედონიის ჟანდარმერიაში 70 ოსმალო აფიცერი და 100 აფიცრის თანაშემწე დაინიშნოს. ეს ღონისძიება იმ მოსაზრებით არის მიღებული, რომ ევროპის სახელმწიფოებმა თავისი აფიცრები აღარ გაჰგზავნონ მაკედონიის ჟანდარმერიაში ჩასარიცხავად..

ოსმალეთი ძალიან გაამხნევა და დაამედიანა რუსეთ-იაპონიის ომმა და საომრად გაჩქარებით ემზადება, თუმცა ბულგარია ამას მიზეზს არ აძლევს. (იქვე).

რუსეთს აზიის აღმოსავლეთში, როგორც «მ. ვ.» იუწყება, ვიდრე სათადარიგო ჯარს მოჰკრეფავდნენ, ჰყოლია 130,000 ჯარის კაცი რკინის გზის და რაზმების გარდა, და 19 მარტამდე კი 183,000 კაცი ეყოლება, ხოლო აპრილის პირველ რიცხვებში—233,000 კაცი; მანამდე რომ იაპონიამ თვისი 13 დივიზია მთლად გადაიყვანოს ბრძოლის ველზე, ორთავე მხარეს თითქმის თანაბრად ეყოლება ჯარი. ეს-კი უნდა ითქვას, რომ იაპონელებს შეუძლიანთ თვისი ჯარი ერთს სასურველ ადგილს შეაჯგუფონ და ისე ამოქმედონ. რუსეთმა კი თვისი ჯარი უნდა დაჰფანტოს თავის საზღვრების დასაცველად. აპრილს შემდეგ რუსეთის ჯარი უფრო გამრავლდება, რადგან ყოველ დღე ემატება. ამისი ეშინიან იაპონიას და ჩინეთს აგულიანებს ომში დაეხმაროს. ესევე გარემოება აიძულებს იაპონიას საჩქაროდ იმოქმედოს, თორემ რაც დრო გავა, გამარჯვების იმედი იმან დათან უნდა გაქარწყლდეს. («ნოვოსტი»).

—

ადმირალ ტოგოსთვის, როგორც «დ. მ.» იუწყება, 2,000 კაცს განუცხადებია სურვილი პორტ-არტურის ომში მონაწილეობის მიღებისა. ზოგს მათგანს თხოვნაზე თავის სისხლით მოუწერია ხელი. (იქვე).

—

ამას წინად დეპეშით იუწყებოდნენ, ვითომც იაპონიის შთაგონებით კორეის მთავრობამ საფრანგეთის ელჩს სეულში რწმუნების ქაღალდები დაუბრუნა, რაიცა ნიშნავს ყოველ დამოკიდებულობათა შეწყვეტას ეს ამბავი ტყუილი გამოდგა. როგორც «ჰავასის სააგენტო» იუწყება, საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრს 14 თებერვალს სეულიდგან დეპეშა მიუღია, რომელშიაც ერთი სიტყვითაც არ არის მოხსენებული აღნიშნული ამბავი.

## ტფილისი

*** 10 მარტისთვის, როგორც ზოგიერთ გაზეთებს გაუგია, ქუთაისში დანიშნულია შავის-ქვის მრეწველთა კრება. კრებაზედ გარეშე ხალხს დასწრების უფლება არა აქვთ. კრების თავმჯდომარედ იქმნება კავკასიის სამთო გამგეობის უფროსის თანაშემწე მ. ი. ჩენგერი.

*** გუშინ-წინ, 22 თებერვალს, დიდის ამბით აკურთხეს ბელგიის უსახელო საზოგადოების საელექტრონო სადგურის სამკითხველო. კურთხევას მრავალი ხალხი დაესწრო. პირველ საათზე გადახდილ იქმნა პარაკლისი მღ. ვინოგრადოვის მიერ. ქალაქის გამგეობის უფროსმა წევრმა ჩერქეზიშვილმა დროს შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა. კურთხევას სხვა-და-სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლებიც დაესწრნენ.

*** ქალაქის გამგეობის მიერ არჩეულმა განსაკუთრებულმა კომისიამ, რომელმაც თვალ-ყური უნდა ადევნოს წყლისაყვანის საქმეებს, გადასწყვიტა, უფასოდ არც ერთს დაწესებულებას არ მისცეს წყალი. აქამდე-კი ბევრს ეძლეოდა. წყლის მაგივრად გამგეობა სუბსიდიას დაუნიშნავს.

*** მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა დეპარტამენტმა სთხოვა კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, გამომიგზავნე თითო ცალი იმ გამოცემათა, რომელნიც სასოფლო მეურნეობას შეეხებაო. ამ წიგნებს საზოგადოება ჩქარა გაუგზავნის.

*** ამას წინად იმ მოხელეებმა, რომელნიც მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულთან მსახურებენ, გადასწყვიტეს, ჯამაგირიდგან 1% გადასდონ რუსეთის სამხედრო საჭიროებისათვის. ამავე მოხელეებს გადაუწყვეტიათ, ამას გარდა 1% საკუთრად რუსეთის ფლოტის გასაძლიერებლად გადასდონ.

*** მკითხველთ უწყიან, რომ ტფილისში სახალხო სახლის ასაგებად ფულს აგროვებდნენ ხელის-მოწერით. დღემდე 10,155 მანეთი შეუგროვებიათ.

*** ხუთშაბათს, 26 თებერვალს, ტფილისის «კრუჟოკში» დანიშნულია რუსული წარმოდგენა. მთელი შემოსავალი გადაიდება დაჭრილ რუს მეომართათვის შემწეობის აღმოსაჩენად.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიზრახა გამგეობის სადგომი ელექტრონით გაანათოს.

*** ხმოსან მირზოევს შეუდგენია ვრცელი პროექტი ტფილისის ქალაქის საუკეთესოდ განათებისა. საგანგებო კომისიამ, რომელმაც განათებისათვის უნდა იზრუნოს, ეს მოხსენება განიხილა და დაადგინა, დაიბეჭდოს ცალკე წიგნაკად და დაურიგდეს ყველა ხმოსანს და შემდეგ წარედგინოს ქალაქის საბჭოს განსახილველად.

*** მკითხველთ კარგად უწყიან, რომ ქაღალდების გადამწერთა ნივთიერი მდგომარეობა ცუდია. თავიანთ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად დააარსეს გადამწერთა საურთიერთო დამხმარებელი საზოგადოება, მაგრამ არა გამოვიდა-რა. პირველად საზოგადოების საქმეები თითქო კარგად მიდიოდა, მაგრამ ბოლო ერთიანად შემოიფანტნენ წევრნი. საზოგადოების კრება ორჯერ იყო დანიშნული ამ დღეებში, მაგრამ არავინ გამოცხადდა ამის შემდეგ გასაკვირველი არ არის, თუ ეს საზოგადოება გაუქმდება.

*** დღეს ქუთაისის ოლქის სასამართლო გაარჩევს საქმეს იმ გლეხებისას, რომელთაც თავ. წულუკიძის მოკვლა ჰბრალდებათ.

*** რადგან ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობას სალხარი არ აქვს, განუზრახავს უმაღლესად ნაბოძები 20,000 მ. გადასდოს რუსეთის სამხედრო საჭიროებისათვის. («ცნ. ფ.»).

## ფელეტონი

### ხშირად ხდება.

I

ხშირად ხდება, ძირს სამყაროს,
მტირალსა და სევდიანსა,
თავს ვანებებ... ზეცად ვიწევ,
ბუნების ხმას ვაძლევ ბანსა.
იქ ფრინველნი დაჰფრინავენ,
იქ ღრუბელი სწურავს ნამსა;
იქ ნაღველი მავიწყდება,
იქ ვიქარვებ გულის შხამსა;
მაგრამ კვალად ჩემს ქვეყანას,
ჩემსა აღმზრდელს, ჩემსა მშობელს,
ნეტარების მომნიჭებელს
და იმავ დროს დამაგმობელს,—
რა დავხედავ... ცხოვრების ძე,
ცხოვრებასვე ვუბრუნდები,
ვებრძვი, მებრძვის და შორს ისმის
ჩვენი გულის პასუხები.

II

ნუ აღვიძებთ შრომის შვილსა,
ავად არის, გული სტკივა;
მძინარ სევდა სულს არ ჰხუთავს,
მძინარს ცრემლი არა სცვივა.
შეჩვენება ბედის ვარსკვლავს!
ურისხდება, თვალებს ლულავს...
მაგის ზეცას, ჩემო კარგო,
ნისლ-ბურუსი, ჯანღი ჰბურავს.
როცა სხვებსა ტურფა მდელომ
გადულოცა ვარდის კონა;
გამოათრო ნეტარებით,
სულს სიღრმეში ჩაეკონა,—
მაგ საბრალოს, ვარდის ნაცვლად,
გულს ეკალი განუწონა.—
რისხვა ჩემს თავს!—მე სოფელი
უკუღმართი არ მეგონა!..

III

უძრავად წევს სამარეში,
ბნელი არის თვით სამარე;
ცა დასცქერის, და სდარაჯობს
დაღვრემილი არე-მარე.
სიცოცხლის დროს, სხვის კაეშნით
კაეშნობდა, ცრემლსა ჰღვრიდა...
ტანჯვა სძლია, ფრთა-ფრთასა ჰკრა,
მიწის წიაღს დააფრინდა.
არღა ესმის ამა ქვეყნის,
ძარღვის ცემა, გულის ძგერა:
მიაღწია ნავთ-სადგურს და
იალქანი შეაჩერა!
უძრავად წევს სამარეში,
მასთან წოლას ვნატრობ მეცა...
მაგრამ ვაჰმე: ვაგლახია
სიკვდილიც და სიცოცხლეცა.

ბ. ახოსპირელი.

### შორს

მოიღრუბლა... ქარი ჰგმინავს;
ლუსკუმამ ცა დაბნელა...
ზღვა ჰღელდება, ათრთოლებს ნავს...
ნავი მიდის ნელა-ნელა..

—

მზეც დაჩრდილა... სუფევს ბნელი...
ნავი სცურავს, ტალღებს აპობს;
შორს ნაპირი სანატრელი
ცრემლებს ჰღვრის და სიბნელეს ჰგმობს.

—

ტალღაც იბრძვის... ნავს ძალ-ღონე
მიუმატა, მიაქროლობს;
ნაპირი-კი, ძალის მქონე,
ნავს ხმას აძლევს, ანაბრძოლებს.

—

მზე წყვდიადს ზე დაეჭიდა:
სურს ასწიოს ეს ზეწარი,
და ქვეყანას მოსცეს უნდა
განთიადი და ცისკარი...

—

და შფოთვა ზღვის, გმინვა ქარის,
თქაშა-თქუში ტალღათ, ბრძოლა
და ცრემლის ღვრა იქ, ნაპირის,
ღრუბელთ გრგვინვა, მათი სრბოლა,—
ყველა ესე ერთის ძალით
იმ ნავს ნაპირს არ აკარებს,
მხოლოდ ტალღა მსწრაფ-სიმალით
ნავს მიაფრენს, მიაქანებს...
და ოდეს ქარი ჩადგება,
როს დრო დასძლევს მოსისინეს,
მზეს წყვდიადი მოშორდება,
გაგვინათებს, გაგვიღიმებს,—
მაშინ ტალღაც და ცაც სცხრება,
ზღვა დადგება, დაისვენებს;
ნავი ნაპირს მიადგება,
«გმირი სატრფოს დაამშვენებს...
ინეტარებს, ცრემლსაც დაჰღვრის,
კვლავ განაგრძობს ზღვა-ზღვა ფრენას
პურს არსების თვით მიუძღვნის
ყველა ხალხს და ყველა ენას...

ცალხელი.

### უნამუსო.

(ძველი, მაგრამ ყოველთვის ახალი, თემა)

ცივა... ჰყინავს... აგერ, შეხეთ,
ფერ-მიხდილი და უძლური,
ლუკმა-პურის საშოვნელად
გამოსულა უბედური.
ლამაზ სახეს, ჯერ გაურყვნელს,
ჰღრუბლავს მძიმე ფიქრი შავი...
სიცივისგან თრთის, კანკალებს
ქუჩის შვილი საცოდავი.
მის ღაწვებზედ ალმასივით
ბრჭყვინავს ცრემლი მწვავ-მდუღარე
და თვალებში ეხატება
უნუგეშო სევდა, მწარე:
სამი თვეა რაც რომ მამა
«უნამუსოს» აღარა ჰყავს,
შინ მოხუცი და უღონო
შიმშილისგან—დედა ოხრავს.
საქმრომ თავი დაანება:
მოატყუა უსირცხვილოდ!
ყველგან კარი დაუკეტეს
და აიგდეს სასაცილოდ...
ამიტომაც ლუკმა-პურის
საშოვნელად ის აქ დადის,
და თვისს სხეულს, სილამაზეს
გულ საკლავის კვნესით ჰყიდის!
«შემიბრალეთ», -- გეხვეწებათ
მისი სახე, ქორფა, ჩვილი,
«მომაშველეთ ხელი ქველი,
თანაგრძნობის სიტყვა ტკბილი»...
მაგრამ აბა ეხლანდელს დროს
ვინ იკისრებს შებრალებას?
ვინ გაუწვდის დაცემულსა
უსასყიდლოდ მოწყალებას?!

კ. მაყა—ში.

*** 9-დან 16 თებერვლამდე, როგორც სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორის ცნობათაგან სჩანს, ტფილისში ავად გამხდარა: ყელჭირვებით 17 კაცი, ყვავილით—6 და ხუნაგით—8.

*** 1903 წლის განმავლობაში ტფილისის პირუტყვთა მფარველ საზოგადოებას შემოსავალი ჰქონია—11,160 მანეთი, ხარჯი—2,308 მან. 57 კაპ.

*** ტფილისის პირუტყვთა მფარველ საზოგადოებას განუზრახავს თავისი მოქმედება გააფართოვოს. ამ აზრით, სხვადა-სხვა ქალაქებსა და დაბებში დააარსებს თავისს განყოფილებებს. საზოგადოების წევრნი სოფლად ივლიან დრო-გამოშვებით და ჩააგონებენ გლეხკაცთ, რომ პირუტყვთ უდიერად არ უნდა მოექცნენ.

*** ხშირად ავაზაკნი თავს ესხმიან რკინის გზის მატარებლის ვაგონებს და მიაქვთ სხვა-და-სხვა ძვირფასი ნივთები, რომელიც ერთი ქალაქიდგან მეორე ქალაქში იგზავნება. რკინის გზას, ამნაირ შემთხვევების თავიდან ასაცილებლად, განუზრახავს, გააძლიეროს ვაგონების მცველთა რიცხვი. თვითოეულს მცველს რევოლვერი ექმნება.

*** რედაქციამ მიიღო ჟურნალ «მოამბის» იანვრის ნომერი შემდეგის შინაარსით: «მიქელა», მოთხ. დავ. კლდიაშვილისა; «ქალბატონი ფიფი» გიუ-დე-მოპასანისა, თარგ. ივ ზურაბიშვილისა; «უსინათლო მემუსიკე». ვლ. კოროლენკოსი, თარგ. ინ-ანისა; «გლეხი-კაცი», რომანი ვილ. ფონ-პოლენცისა, თარგ. ივ. პოლუმორდვინოვისა; «ცრემლი სინანულისა», ემილია პარდო-ბაზანისა, თარგ. ივ. მაჭავარიანისა; «თეოდორ მომზენი», ლ. გ—სა, «ინგლისის ახალშენი», «ბიბლიოგრაფია», «ნარევი» და სია ჟურნალ «მოამბეში» ათის წლის განმავლობაში დაბეჭდილ ყველა წერილებისა.

## ჩვენებური ამბები

**დ. ხობი.** (ზუგ. მაზრა). კარგა ხანია, ქუთაისის საქალებო სასწავლებლის მასწავლებელმა სპ. ჯორჯიკიამ მეუღლითურთ დააარსა საქალებო სასწავლებელი ს. ნოჯიხევში. ეს გარემოება დაარსებისათანავე «ივერიაში» გვქონდა აღნიშნული. შარშან-წინ ამ სასწავლებელს მიუმატეს სახელსაქმო განყოფილება, რამაც სოფლელები ძლიან გაახარა. აქ მასწავლებლობს ბ. გეთია, რომელსაც უნდოდა ამ განყოფილების სასარგებლოდ დ. ხობში წარმოდგენა გაემართა. როლები უკვე დანაწილებული და შესწავლილი ჰქონდათ, ბინა დაქირავებული, მხოლოდ ნება-რთვა გაძნელდა, საქმე გუბერნატორამდე მივიდა და ჩაეშალა ბ. გეთიას თავისი კეთილი განზრახვა!

ხობის «ქალაქს» თავისი იმედი ბედზე მიუგდია, გულზე ხელებ-დაკრებილი, უმოძრაო ელის, თუ როდის გაუღიმებს ფორტუნა... ჩვენ ვამბობთ რკინის გზის შესახებ, რომელიც სოხუმიდან უნდა წამოვიდეს. ხობელები გაიძახიან: სადაც «სტანციააა», იქაც ჩვენაო! მანამდე-კი შორს სინათლე, შორს ქვითკირის სახლები და წინ წაწევაო! იმას-კი არ ამჩნევენ, რომ ერთ-ერთი ღერი წუმწუმა მთელს ეხლანდელს ხობის დაბის დაანაცრებს, ფერფლად აქცევს. სადგური არსაიდან სჩანს, დაბა-კი საშიშს ყოფაშია.

ზამთარი ერთობ თბილი შეგვექმნა. აქეთკენ გაზაფხულის დღეებია; ია დაბერდა, პეპლები დაფრინავენ, ატმისა, ტყემლისა და ელის კვირტები გაივსო. ცუდ მოსავალს უწინასწარმეტყველებენ მოხუცნი ამ წელს, თან ძლიერ ჰშიშობენ, ამ თბილს ამინდებში სიმინდი ჩრჩილმა ადრე არ დაასნეულოსო.

ჯაჯუ.

—

**ს. ალის-უბანი** (შორაპნის მაზრა). ამ სოფელში არის დაარსებული ოლკლასიანი სკოლა. სკოლაში ოთხი განყოფილებაა და სამი კლასი, ასე რომ, ამ სკოლის გათავებას შეგირდი უნდება შვიდ წელიწადს. შვიდ წელიწადში შეგირდები საკმაოდ იწვრთნებიან მთავრობის მიერ დაწესებულ საგნებში და გამოდიან, შედარებით, საკმაოდ მომზადებულნი წერა-კითხვის სკოლის მასწავლებლობისათვის.

ეს რომ ასეა, ის გარემოება ამტკიცებს, რომ აქედან გამოსული შეგირდები არიან დარიგებულნი სოფლებში მასწავლებლებად და, როგორც მთავრობა, ისე საზოგადოებაც ძლიერ მადლობელი არის მათი-

ამავე სკოლასთან არის დაარსებული საბაღოსნო კურსი; თუმცა ღონისძიებათა უქონლობისა გამო ცოტა გაჭირვებაშია ეს საქმე, მაგრამ, როგორც ნამდვილად ვიცი, მაინც პირნათლად ემსახურება თავისს დანიშნულებას. ამ საგანს დიდს ყურადღებას აქცევს აქაური საზოგადოება და რა უნდა იყოს ახალი, რომ იმ წამსვე არ გადაიღონ და არ შეისწავლონ აქაურებმა. ნამეტნავად ეტანებიან ვენახის საქმეს და ხეხილის დამყნას, რაც გლეხისათვის უსარგებლო არ არის.

ეხლახან, როგორც გავიგე, ეს საქმე დროებით შეჩერებულა, რადგან უსახსრობისა გამო მასწავლებლის ადგილი გაუქმებულა, თუმცა უკვე უთხოვნიათ მთავრობისათვის, რათა სახელმწიფო საშუალებით იქმნას დაქირავებული მასწავლებელიო. ეს გარემოება ძლიერ სამწუხაროა. რადგან ამ დარგს მეურნეობისას დიდი ნაყოფი შეეძლო მოეტანა საზოგადოებისათვის, მით უმეტეს სამწუხაროა, რომ იგივე მასწავლებელი განაგებდა საკინძავსამუშაო სახლს, რომელიც იმავე სკოლასთან არსებობს; ამ ქარხნის მუშაობაც შეჩერებულია.

კარგი იყო, რომ მთავრობას მიექცია ყურადღება და ეს ორი ნაყოფიერი და სასარგებლო დაწესებულება აეღორძინებინა.

თუმცა ბევრს შრომობს აქაური მმართველი მღვდელი მამა ვლადიმერ სალაძე, მაგრამ რა ჰქნას მარტო ერთმა კაცმა, თუ მთავრობაც ხელს არ შეუწყობს.

ამავე სკოლაში იმართება სახალხო კითხვა. წანაკითხს ასურათებენ ბუნდოვანი სურათებით ჯადოსან ფარნის საშუალებით. იმართება აგრეთვე ლიტერატურული საღამოებიც. უნდა მოგახსენოთ, რომ საქმეს დიდის ყურადღებით ეპყრობა ხალხი და ბლომად ესწრება. როგორც-კი გამოცხადდება, ამა და ამ დროს ლიტერატურული საღამო ან სახალხო კითხვა იქნებაო, იმ წამსვე ეს ხმა ელვასავით ეცება, როგორც მახლობელ სოფლებს, ისე შორეულსაც. ყველანი ერთმანეთს ეუბნებიან: «არიქა, ბიჭო, სკოლაში «წარმოდგენის თამაში» იმართება და წავიდეთო». გიკვირს, როდესაც სოფლის მოხუცი, ახალგაზრდები, კაცი თუ ქალი, მრავლად გროვდება სკოლის ეზოში; სანამ დაიწყებოდეს «წარმოდგენების თამაში», თავისებურად შეექცევიან: იმღერიან, თამაშობენ, ხშირად მელექსეობაში შეეჯიბრებიან ერთი მეორეს

თითონ ვიყავი დამსწრე, ვრთი ორი ამნაირ საღამოსი. უნდა მოგახსენოთ, რომ თუმცა სხვა-და-სხვა განათლებულ ქალაქებში დავსწრებივარ ამნაირვე საქმეს, მაგრამ ასე გონივრულად, ასე ხალხის გემოზედ დაწყებულ საქმესე მე არ შევსწრებივარ! გამოაცა ამ მდაბიო ხალხის მოქცევამ. სულ განაბული ისმენდნენ კითხვას, თუ რომელიმე ლექსი ან მოთხრობა მოკლე შინაარსისა მოეწონებოდათ, ამეორებინებდნენ რამდენჯერმე. ზოგს ცრემლიც შევნიშნე თვალებზედ. მადლობის ღირსია მამა ვლადიმერ სალაძე, რომ ასე პირნათლად უძღვება ამ სკოლის საქმეს. ვუსურვებთ, რომ თავისი მხნე და დაუღალავი მუშაკობა განეგრძოს ბოლომდე.

ამიტომაა, რომ ამ სკოლას დიდი სახელი აქვს დამსახურებული შორაპნის მაზრაში. მხოლოდ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ენკენისთვეში ეზო სავსეა მთხოვნელებით. მეგავვოცდი, როცა დავესწარი ამ დროს; ვგონებ არც საშუალო სასწავლებლებში იყოს იმდენი სწავლის მსურველი ბავშვი, როგორც ამ სკოლაში.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ლიტერატურული საღამო და სახალხო კითხვები მით უფრო იზიდავს კიდევ ყურადღებას, რომ შესანიშნავად ჰგალობს აქაური გუნდი მგალობლებისა სხვა-და-სხვა კონცერტებსა და ხალხურ სიმღერებს. გალობის საქმე კარგად უწარმოებია მასწავლებელს ანდრია ხონთაძეს. ასე გაწვრთნილი გუნდი მგალობლებისა ძვირად მინახავს. ღირს-შესანიშნავია მეტადრე ხალხური სიმღერები. ამავე ხოროს გალობა მოვისმინე ეკკლესიაში. ნამეტნავად მოსაწონია ქართული გალობა, ოთხ ხმაზედ გადაღებული და ნარევი კახური კილო! ამ გალობამ დამავიწყა ფრთებშეკვეცილი ხუნდაძის გალობა, რომელმაც ძირი გამოუთხარა მამა-პაპურს კილოს. მახსოვს, ერთ-ერთ გაზეთში იყო დაბეჭდილი, რომ თითქო მღვდელი მამა ვლად. სალაძე რუსულად სწირავსო. ეს მტკნარი სიცრუეა და ამისთანა სიცრუე მხოლოდ მეავე პატრიოტებს შეეძლოთ ეთქვათ და გაევრცელებინათ. ვინც ერთხელ მისულა ალისუბანში და გონივრულის თვალით ჩაჰკვირვებია იქაურს გარემოებას და საქმის მსვლელობას, არამც თუ გაჰკიცხავს მამა ვლადიმერს, არამედ, პირიქით, მადლობას უძღვნის. ასეა ხშირად: პატიოსანი მუშაკი რჩება შეუმჩნეველი.

—

აქაურნი მკვიდრნიც, სხვა სოფლელებთან შედარებით, დაწინაურებულია. ხალხს ეტყობა გონების განვითარება, მაგრამ ერთია სამწუხარო. ერთობ მისჩვევია ამ სოფელს ეგრედ წოდებული «აბლაკატები». ერთი-ორის აბაზისათვის რას არ შესთხზავენ. ამით არიან შეწუხებულნი აქაურნი მოღვაწენი და ხალხიც. სოლცარის ოსტატობით ამღვრევენ წყალს, რათა ბლომად დაიჭირონ თევზი. არ დამავიწყდება ერთი ლაპარაკი, რომლის დამსწრეც თითონ მე ვიყავი. ზის ორი «აბლაკატი» და ერთმანეთს შესჩივის უფულობას,—წახდა დროვო. ბოლოს ერთ შინაურ გლეხს მიჰმართავს ერთი მათგანი და ეუბნება: «ბიჭო, ივანე, არსად გეგულება ერთი მსუქანი კურდღელი, რომ წამოაგდო და ზედ ვინავარდოთ»?.. იმანაც მოწიწებით მიუგო: «მოგიკვდეს შენი ივანე. თუ ამ ერთ კვირაში ისეთი კურდღელი არ წამოგიგდო, რომ კაი ხანს მისი ბეჭი და სათვილო გათლევინოო».—«ჰო, ჩემო ივანე, და შენც ნაწილი გექნებაო»,—ასე მოღვაწეობენ ეს პატიოსანი «აბლაკატები», მაშინ, როდესაც შეეძლოთ, რომ სხვა პატიოსანის საქმისათვის მოეკიდნათ ხელი.

გზების უვარგისობა ალისუბნელებს სულს უხუთავს. წელს აქ ბლომად მოვიდა ღვინო და იაფიც არის, შარშანდელზედ შედარებით, ძალიან, მაგრამ არავინ ჰყიდულობს. ვაჭარი ვერ შეშემოდის უგზოობისა გამო. სიმინდი ნაკლებად მოვიდა და ფასმაც საოცრად აიწია. ბათმანი (ოცდაშვიდი გირვანქა არის) ათი შაურია. ვერავინ იტყვის, რომ ამ დროს ასე გაყიდულიყოს სიმინდი. მომავალი რას იზამს, ღმერთმა უწყის. კიდეც რო იშოვნონ, ვერ შემოიტანენ უგზოობის გამო.

ჩხარის საზოგადოების მამასახლისის ასარჩევად ყრილობა ჯერ კიდევ არ ყოფილა. სხვა ოთხ საზოგადოებაში ყველგან აირჩიეს მამასახლისი, აქ-კი ჯერ არა. რა მიზეზია, არ ვიცით. როგორც ჩუმად ლაპარაკობენ, ყასიდად აგვიანებენო, რადგან ისევ ძველი მამასახლისი უნდათო. ხალხი-კი ირევა და არ უნდა ძველი მამასახლისი, მაგრამ იმ დალოცვილ ჩხარში ამის მოთავე სამიოდეა, რომელნიც ჰხრაკს, საითაც უნდათ, იქით ატრიალებენ. ჰყავთ თავიანთი კანდიდატები და მათთვისს ცდილობენ. ჰგზავნიან სოფლებში აგენტებს, ხარჯავენ ფულსა და რაებს არ სჩადიან, რომ ეს საქიშპავი ჯაჭვი გადააცვან სურვილისამებრ. კარგი იყო, შეეგნო საზოგადოებას, რომ პატიოსან და განვითარებულ მამასახლისს ბევრის სიკეთის მოტანა შეუძლია და მისთანას უნდა ეძებდნენ ასარჩევად, და ორიოდე კაცის სურვილს არ უნდა მისდევდნენ ყურ-მოჭრილ მონასავით.

აქეთ დიდი თოვლი დასდო. წარსულ კვირეებში ძლიერი ქარები იყო და გზებში დიდი ბუქი დააყენა, ასე რომ, ძნელია აპრილში გზა გავიდეს. დადგა ყინვები, საქონლის საკვების ფასმა იმატა და ხალხი შევიწროვდა. თოვლს თანდათან უმატებს. ეს ერთი კვირაა, თოვლი მოდის. დიდი სიცივეებია, ნამეტურ ღამ-ღამობით. ამით ისარგებლეს ქურდ-ბაცაცებმა და ძლიერ დანავარდობენ. ქათამს, ინდაურსა და ბატებს სულ მუსრს ავლებენ. ვერ ჰნახავ გლეხს, რომ არ წუწუნებდეს,—ესა და ეს მომპარესო. მაგრამ ვინ არის პატრონი? ჩვენის პოლიციის სისუსტე არაკად გადაიქცა. «ბიჭო, რავა გძინავს ჟურულივითო»! (მოხელეა).

ლადიკო.

### ჩვენის მწიგნობრობიდან.

ანტონ ფურცელაძის ნაწერები.

საინტერესოა აღინიშნოს ხანდისხან, თუ ქართულის მწერლობის ასპარეზზედ ზოგიერთ ქართველ მწერალთა ნაწერები როგორა საღდება; მაგალითებრ, ბ-ნ ანტონ ფურცელაძის ნაწერები, რომელიც აქამომდე ცალკ-ცალკე იბეჭდებოდა, ამ ბოლოს დროს ყველა ესენი გათავებულა და აი რამდენჯერ რა ნაწერი დაბეჭდილა და ისიც რამდენ-რამდენი ცალი. «დიდი მოურავი» 2-ჯერ დაბეჭდილა 2000 ცალი. ეხლა მესამედ გამოვა, სასცენოდ გადაკეთებული თვით ავტორისაგან.

«ავაზაკები» 2-ჯერ დაბეჭდილა 2800 ცალი, ეხლა აღარ არის, მესამედ იბეჭდება.

«მართა», მოთხრობა, პირველი გამოცემა 1500 ცალი, მეორედ დაიბეჭდება, რადგანაც მცირეა.

«ვაი მართალთა» 2-ჯერ დაბეჭდილა 2000 ცალი. აღარ არის, მესამედ იბეჭდება.

«სამის თავ-გადასავალი» დაბეჭდილა 1300 ც.; აღარ არის, ეხლა მეორედ იბეჭდება.

«ჩვენებური საქმის ბოლო» დაიბეჭდა 1200 ც.; არის კიდევ გაუყიდავი.

«მაცი-ხვიტია» დაბეჭდილა სამჯერ 3000 ც.; აღარ არის, ეხლა მეოთხე გამოცემა იქნება.

«ბრძოლა საქართველოს მოსპობაზე», დაიბეჭდა 1200 ც.; აღარ არის, ხალხი თხოულობს. მეორე გამოცემა უნდა.

«ქიტესა», მოთხრობა დაიბეჭდა 1200 ც.; აღარ არის.

«საგო პუმა» დაიბეჭდა, 600 ც. ერთხელ; არის კიდევ.

«მარაბდა», პოემა დაიბეჭდა ორჯერ 3000 ც. აღარ არის.

«წყალობა» დაიბეჭდა ორჯერ 3000 ც. აღარ არის.

«შოთა რუსთაველი და მისი ცოლი» დაიბეჭდა ორჯერ 2000 ცალი.

«მამულის საერთო მფლობელობა» დაიბეჭდა ერთხელ 1200 ცალი. აღარ არის.

«ბაგრატიონთ დიდება» დაიბეჭდა 1200 ცალი. აღარ არის გასასყიდად.

«ისრაელის ასული» დაიბეჭდა 1000 ცალი ერთხელ.

«ლექსები ერთად შეკრებილი» დაიბეჭდა ერთხელ 1200 ც. აღარ არის გასასყიდად.

სულ 29,400 ცალი

ყველა ეს წიგნები დაიბეჭდა 1880 წლიდგან დღემდე. დღეის შემდეგ, რასაკვირველია, გახშირდება მათი გამოცემა, რადგანაც ხალხში გავრცელებულია მათი კითხვა—მეშებში «ავაზაკები», მასთან მოთხრობები და ნამეტურ «მაცი-ხვიტია» მეგრელებშია მოფენილი და კვალადაც იფინება.

შავშელი

## რუსეთი

**ქ. ტომსკი.** (საკუთარის კორეს.). ქალაქი ტომსკი ციმბირის ცენტრია. განათლების მხრივ საშუალო სასწავლებელთა გარდა აქ დღეს ორი უმაღლესი სასწავლებელია—უნივერსიტეტი და ტეხნოლოგიური ინსტიტუტი. მომავალ სამოსწავლო წლიდგან საბეითალო ინსტიტუტიც იქნება; ნებართვა უკვე მიღებულია საერო განათლების მინისტრისაგან. ინსტიტუტი დროებით უნდა მოთავსდეს უნივერსიტეტის შენობაში, ასე რომ, საკუთარის შენობის აგებამდე უნივერსიტეტისა და ინსტიტუტის სტუდენტები ერთად მოისმენენ ლექციებს. ხმებია აგრეთვე, რომ უნივერსიტეტთან აპირებენ დააარსონ დედათ უმაღლესი კურსები. აქაურს უმაღლესს სასწავლებლებში ამ ხანად ათას ხუთასამდე სტუდენტია, ამათ შორის ოცი ქართველია. ყველასათვის ცხადზედ უცხადესია, თუ რა სიძნელეს წარმოადგენს საქართველოს მკვიდრთათვის სუსხიან ციმბირში ცხოვრება, მაგრამ, სხვა-და-სხვა მიზეზების გამო, აქაც გადმოხვეწილან ახალგაზრდა ქართველები სწავლის მისაღებად. სულ ორი წელია, რაც აქ ქართველ სტუდენტთა რიცხვმა თანდათან იმატა. თუ ორი წლის წინად აქ ხუთ ქართველ სტუდენტსაც ძლივს შეხვდებოდით, დღეს, სამაგიეროდ, მეცნიერების ფართო ასპარეზზე თავ-გამოდებით იღვწის ოცი ქართველი სტუდენტი. ჩვენი ახალგაზრდობა თავის აზრების და იდეების მისაღწევად მხნედ ებრძვის აქაურს სუსხიან ჰავასაც და გულგრილად შეჰყურებს ნივთიერ ნაკლსაც. აქაურ ქართველ სტუდენტების შესახებ კარგის მეტი არა ითქმის-რა. მაგრამ ეს არა კმარა, ეს მხოლოდ ერთი მხარეა ჩვენის ცხოვრებისა; თუ რომ გადავავლებთ თვალს ქართველ სტუდენტების ამხანაგურ განწყობილებას ან ურთიერთობას, აქ-კი სულ სხვა რასმე დავინახავთ. ეს სხვა რამე, სწორედ რომ სამწუხარო და აღმაშფოთებელია, რაც არ შეშვენის კულტურულ ადამიანს. ეს «რამე» ცხადჰყოფს, რომ საზიზღარ თავხედობას ადგილი აქვს ისეთ ფრიად სიმპატიურ საზოგადოებაში როგორც არის, მაგალითად, სტუდენტობაში. სამწუხარო არის მეტად, ვამბობ, და ამაში მკითხველიც დამეთანხმება, როდესაც გაიგებს, რომ ჩვენში მუშტი-კრივსაც უჩენია თავი. თუმცა ამხანაგობამ ყოველი ღონე იღონა ამ უზრდელობის ერთხელ და სამუდამოდ მოსასპობლად, მაგრამ ამაოდ, ბატონი «მუშტაძე» დღესაც იცავს თავის მხეცურ საქციელს. ამგვარი არა-სასურველი წევრი ჰყავს ჩვენს ამხანაგობას; სასიამოვნოა, რომ შემთხვევამ ნიღაბი აჰხადა და დროზე დაგვანახვა მისი სახე. ვაჟკატონი «მუშტაძე» ტეხნოლოგიურის ინსტიტუტის სტუდენტია და მომავალი ინჟინერი, რომელიც «მუშტებით» გავარჯიშებული ეწვევა ჩვენს სამშობლოს.

## თეატრი და ხელოვნება

### ქართული თეატრი.

კვირას, 22 თებერვალს თავ. სუმბათაშვილის დრამა «ღალატი» კვლავ წარმოადგინა ქართულ თეატრში ქართველ მსახიობთა ამხანაგობამ, რამდენადაც-კი ეს სიტყვა, ამხანაგობა, ჩვენებურ, ქართულ საქმეს დაერქმევა და შეეფერება. ამხანაგობა მჭიდრო კავშირია ისეთ კაცთა, რომელთაც ერთი საზოგადო საქმე გასჩენიათ. ერთის მისწრაფებით გამსჭვალული ყოველი წევრი ამხანაგობისა მუშა ფუტკარივით უნდა სცდილობდეს თავისი წვლილი შეიტანოს საერთო სკაში და ხელი შეუწყოს იმ სასიცოცხლო მასალის დამზადებას, რომლითაც საზრდოობს მთელი ამხანაგობა, მაშასადამე თვითონ ისიც. რაც უფრო ფართოა ამხანაგობის მოღვაწეობის სარბიელი, რაც უფრო მეტის ინტერესებს შეეხება იგი და დააკმაყოფილებს, მით უფრო მეტს პატივისცემას, მეტს თანაგრძნობას გამოიწვევს მთელს საზოგადოებაში და მით უფრო დიდია მისი ღვაწლიც.

ჩვენში აგრე არ არის. მაგალითად, უკეთესი, საყვარელი რა მისწრაფება უნდა ჰქონდეს ქართველ მსახიობს, თუ არ ქართულის სცენის, ქართულის ხელოვნების ზრდა-განვითარება, წინ-სვლა იმ საქმისა, რომელსაც დღეს ჩვენთვის ესოდენი დიდი მნიშვნელობა აქვს. ყოველი ჩვენი მსახიობი, რომელსაც-კი ეს მნიშვნელობა ჩვენის თეატრისა შეუგნია, უნდა სცდილობდეს მთელი თავისი ნიჭი და გამოცდილება ამ საყვარელ საქმეს მოახმაროს სხვის დახმარებით განავითაროს იგი. ნამდვილად-კი რასა ვხედავთ? პატარ-პატარა ჯგუფებად დაყოფილი, «პირველის ხარისხისა», «მეორე ხარისხისა» და სხვ. ბეჭდებით მორთულნი, ისინი განზედ გასდგომიან ერთად მოღვაწეობას და «სიცრუისა» და ინტრიგების მორევში ჩაფლულნი ღალატობენ საქმესაც და თავის თავსაც; თავის თავსაც იმიტომ, რომ, ვიმეორებთ, რამდენადაც კარგად იქნება წარმოებული საზოგადო საქმე, იმდენად ყოველ მისის წევრის ბედ-იღბალიც უზრუნველ-ყოფილი იქნება.

მაგრამ, მკითხველო, შეიძლება კი ჩვენებურ მოღვაწეების გულწრფელ მოღვაწეობაზედ, საზოგადო საქმის სიყვარულზედ, ლაპარაკი?

გუშინდელის «ღალატის» წარმოდგენა მშვენიერად ახასიათებდა ძალის დაქსაქსვას, ერთიანს უმოქმედობას და უვარგისობას იმისთანა პატარა წრეში, როგორიც არის ქართველ მსახიობთ ოჯახი. წარმოდგენის გამგე იძულებული იყო, მაგ. კოტე ყიფიანისათვის, რომელიც ანანიას როლს საუცხოვოდ თამაშობს, სოლეიმან ხანის როლი მიეცა, იმიტომ რომ ვლადიმერ მესხიშვილი არ ერია ამხანაგობაში. ზეინაბის როლი კარგარეთელისთვის მიეცა, მაშინ, როცა ის რუქაიას თამაშობდა, და გედევანოვისთვის მიენდო ანანიას როლი, როცა ბესოს როლისთვის მსახიობს მეტი ძალა შესწევს.

ყველა ეს, რასაკვირველია, თვით წარმოდგენის სიავ-კარგეზედ მოქმედობდა და იმიტომაც იყო, რომ გუნიასა (ოთარბეგი) და მდივნის (რუქაია) გარდა, ყველანი ვერ ჰგრძნობდნენ თავის თავს ისე თამამად, როგორც წინა წარმოდგენებში.

თეატრი ხალხით სავსე იყო.

ქ. ყი—ნი.

—

დღეს, 24 თებერვალს, ქართულ თეატრში ქართულ დრამატ. დასის ახალგაზრდა არტისტების-მიერ წარმოდგენილი იქნება ორი პიესა: «უაზრდი არსენა», დრამა 3 მოქ. ა. ყაზბეგისა და «არკადის სადილი» კომედია 3 მოქ., ნ. გოგლისტოვისა. მიზეზი დასის ორად გაყოფისა, როგორც შევიტყეთ შემდეგია: დიდრონ არტისტების შეხედულობით, პაწაწკინა წვრილი არტისტები, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, მათნი უმორჩილესნი მონანი, მეტად თავ-გასულები არიან, კალთების ლოკვა არ იციან და ამის შესასწავლად საჭიროა, ეგება თვე მაინც, მშიერი დავტოვოთ, ნურც მონაწილეობას მივანდებინებთ და ნურც თეატრში შევუშვებთო. და წარმოიდგინეთ, გაამარჯვეს! არც ერთი ახალგაზრდა მსახიობი არ შეუშვეს კვირას, 22 თებერვალს «ღალატის» წარმო-

დგენაზედ. სასტცილოა, რომ სამწუხაროა[r] იყოს!

ახალგაზდა მსახიობნი-კი გულის სიღრმიდან სთხოვენ თავიანთ მასწავლებელ არტისტებს, აღმზრდელ მამებს, რომ კეთილ ინებეთ და დღეს ჩვენს წარმოდგენას დაესწარით, რასაც დიდ ბედნიერებად ჩავთვლითო.

ადამიანი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

22 თებერვალი.

**სოფია.** (ოპოზიციის ცნობებით). აქ მოვიდნენ სერბიელი სტუდენტები; იმათ შეეგებნენ ბულგარიის მოსწავლე ახალგაზდობა და მრავალი ხალხი. ერთმანეთს სიტყვები უთხრეს. სადამოთი სერბიულ-ბულგარიული კონცერტი იყო.—ალბანელთა და ჩერნოგორელთა შორის მომხდარი ინციდენტები საზღვრის გამო გამოირკვა. პორტამ უბძანა, დასაჯონ დამნაშავენი.

**სოფია.** («კორესპ. ბიურო»). ბულგარიის განთავისუფლების დღესასწაულის გამო, ბულგარიის მთავარმა და რუსეთის იმპერატორმა ერთმანეთს მილოცვის დეპეშები გაუგზავნეს.

**სტამბოლი.** დიდთა სახელმწიფოთა წარმომადგენელმა მოიწონეს ნოტა, რომელიც რუსეთისა და ავსტრია-უნგრიის ელჩებმა წარუდგინეს სულთანსა მაკედონიის ჟანდარმერიის მოწყობის შესახებ.

**ბელგრადი.** სკუპშჩინაში წაიკითხეს რუსეთის რწმუნებულის წერილი, რომელშიაც ნაჩვენებია, რომ ხელმწიფე იმპერატორი უცხადებს სკუპშჩინას მადლობას სერბიის ერის მიერ რუსეთისადმი თანაგრძნობის გამოცხადებისათვის.

**ტოკიო.** («რეიტერის სააგენტო»). ხაკოდატეში მოსულმა ავსტრიის გემმა მოიტანა ამბავი, რუსთა ვლადივოსტოკის ესკადრა ჩრდილოეთის წყლებში დაიარება იმ აზრით, რომ იაპონელთა გემები დაიჭიროსო.

**სეული.** („რეიტერის სააგენტო»). ანჩჟიოდან რუსეთის ჯარებმა გადაინაცვლეს ჩრდილოეთისკენ.

**ვლადივოსტოკი.** (სპეციალურად). 22 თებერვალს, 1 საათ. და 25 წუთს დღისით, მტრის ხუთი ჯავშნიანი გემი და ორი კრეისერი მოვიდა კუნძულ ასკოლდის მხრიდან, დაეწყო საომარ წესზე და დაიწყეს ჩქარი ყუმბარების სროლა, ასე რვა ვერსის მანძილიდან. კოშკებს და ბატარეებს ზიანი არ მოსვლია. მტერმა სულ გამოისროლა ორასამდე ყუმბარა. სროლამ 55 წუთი გასტანა. სწორედ ორს საათსა და 20 წუთზე გაათავა მტერმა სროლა და წავიდა კუნძულ ასკოლდისაკენ. ამავე დროს ასკოლდთან გაჩნდა ორი ნაღმიანი გემი და ორიც ჰაიდელის კონცხთან. მტრის გემები მთლად შემოჭყვნა. მტრის დაცემა უნდა უშედეგოდ ჩაითვალოს. ქალაქის მცხოვრებნი სროლის დროს სრულიად მშვიდობიანად იყვნენ.

27 თებერვალი.

**პეტერბურგი.** დეპეშა ნამესტნიკის გენერალ-ადიუტანტის ალექსეევისა მუკდენიდგან 22 თებერვლის თარიღით მის უდიდებულესობის სახელობაზედ: «მოვახსენებ თქვენს უდიდებულესობას, ვლადივოსტოკის ციხის უფროსი იწერება დეპეშით, რომ დღეს, დილის 8 საათსა და 50 წუთზედ, კუნძულ ასკოლდის სამხრეთად გამოჩნდა 7 გემი; დილის 9 საათსა და 45 წუთზედ გამოირკვა, რომ სამხედრო გემები იყო და მიდიოდნენ კუნძულ ასკოლდისაკენ; შუადღისას მტრის ესკადრა უკვე შუაგზაზედ იყო ნაპირსა და კუნძულს შორის, უსურიის ყურესაკენ მიდიოდა ისე, რომ სანაპირო ზარბაზნების ყუმბარა ვერ მისწვდებოდა; ორის ნახევარზედ მტრის ესკადრამ ასტეხა სროლა. გამოირკვა, რომ ამ ესკადრაში იყო, როგორც ეტყობოდა, ორი კრეისერი 1-ლის ხარისხისა «იზუმო» და «იაკუმო». სხვა გემთა სახელწოდებანი ჯერ გამორკვეული არ არის».—28 თებერვალს თავრიდის სასახლეში დიდის მთავრინას მარიამ პავლეს ასულის თანადასწრებით დაიწყო პირველი სრულიად რუსეთის გამოფენა სამონასტრო ნახელოვნებისა და საეკლესიო ნივთსამკაულისა.

**ვლადივოსტოკი.** (საკუთარის კორესპონდენტისაგან). დაწვრილებითი ამბავი გუშინდელის ყუმბარების სროლისა: დიდად არა დაშავებულა-რა. დიდის ზარბაზნის ყუმბარამ ჩაანგრია ხის სახლი ოსტატის კაცის კონდაკოვისა. ჩაანგრია ჭერი და მოჰკლა ცოლი კონდაკოვისა, ორსული დედაკაცი, ოთხის შვილის დედა. «გნილოი უგოლის» უბანში ყუმბარამ ჩაანგრია სახლი პოლკოვნიკის ჟუკოვისა, გაიარა საწოლი ოთახი, მილეწა ლუმელი და ავეჯი, გაანგრია კედელი და გასქდა ფულის ყუთის მახლობლად. ყუთის დარაჯს, რომელსაც აფეთქების გამო მიწა და თოვლი შეეყარა, წარბი არ შეუხრია, მხოლოდ დაუყვირა სანაცვლოს დამყენებელს, დროშა გიტანე სახლიდანაო. დროშა იმ წამსვე პოლკოვნიკის მეუღლემ და შიკრიკებმა გაიტანეს. ცეცხლი არსად გაჩენილა. ბოლოს ციმბირის ფლოტის მეზღვაურთა ყაზარმების ეზოში გასკდა კიდევ ერთი ყუმბარა, რომელმაც მსუბუქად დააშავა ხუთი მდაბიო მეზღვაური. ამათზედ მეტი არც მოკლულია და არც დაჭრილი. ზარალიც არა არისრა. ჩვენის ბატარეების სროლის გაჩუმების მიზეზი იყო ჯერ ისა, რომ ნაკლებად გვქონდა იმედი მოგვეხვედრებინა მიზანში, რაკი ძლიერ შორიდან ისროდა მტერი ზარბაზნებს, და მერე კიდევ ისა, რომ ნაადრევად იქმნა მიჩნეული შეგვეტყობინებინა მტრისათვის, რა ადგილას იყო ჩვენი ბატარეია გაწყობილი. მტრის ესკადრაში იყო ერთი ჯავშნიანი გემი, 4 ჯავშნიანი და 2 უჯავშნო კრეისერი. დღეს ღამემ მშვიდობიანად გაიარა. აღფრთოვანება ქალაქში და ჯარში აუწერელია. სასტიკად დაათვალიერეს ქალაქი, იაპონელები ხომ არ არიან სადმეო. პოლიციამ განცხადება გააკრა, ვინც იაპონელს იპოვის, საჩუქარი მიეცემაო, ხოლო ვინც დაჰმალავს სამხედრო სამართალში იქმნება მიცემულიო.

**პორტ-არტური.** (საკუთარის კორესპონდენტისაგან). პორტ-არტურის მიდამოთა შორის ცვლილება არა არისრა. კარგი ამინდები დაიჭირა.

დროებითი რედაქტორი გრ. ყიფშიძე.

გამომცემელი ა. სარაჯიშვილი.

### პეტერბურგის ბირჟა

20 თებერვალი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. . . . . | 94,00 |
| ბერლინში 100 მარკაში . . . . | — |
| პარიჟში 100 ფრანკში . . . . | — |
| ლონდონში ჩეკები . . . . . . . | 94,75 |
| ბერლინში „ . . . . . . . | 46,30 |
| პარიჟში . . „ . . . . . . . | 37,65 |
| ბირჟის დისკონტი. . . . . . | 6,7½% |
| 4% სახელმწიფო რენტა . . . | 93 ნის. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. . . . . | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა . . . . | 90½ ნის. გაყ |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 346½ ნის. გაყ |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . . | 301 წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | 240 წვრ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. . . . . . . | — |
| 4½% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა. | — |
| 4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . . . | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა . . . . . | — |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. . . . . | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა . | — |

### რკინის გზის მიმოსვლა.

15 ოკდომბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

**ბათომს:** 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს 7 ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

**ბაქოს:** 1) შუადღი ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ სამშაბათობით)·

**ყარს-ერევანს:** 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2 საღამოს 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან გამოდის:

**ტფილის-ბაქოსაკენ:** 1) დილის 9 ს. 32 2) ღამის 12 ს. 8 წ.

გ) ბაქოდან:

**ტფილის-ბათომისაკენ:** 1) შუადღის 1 ს. 58 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); 4) დილის 4 ს 48 წ.

დ) ქუთაისიდან:

**ბათომისაკენ:** 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) ღამის 1 ს. 58 წ.

**ტფილის-ბაქოსაკენ:** ღამის 3 ს. 58 წ3

ე) შორაპნიდან:

**ჭიათურა-დარკვეთისაკენ:** 1) დილის 6 ს. 58 წ 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

**შორაპნისაკენ:** 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.


# განცხადებანი

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!

**ჰიგიენური**

ბორნო-ტიმოლის საპონი

პროვიზორის

**გ. ფ. იურგენსისა.**

აქრობს ჭორფლს, ნასიცხს,—ყვითელ ლაქებს და ასპობს ოფლს. ვურჩევთ ყველას, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი. ლონდონი 1893 წ.

**ფასი თითო ნაჭერისა** 50 კ. ½ ნაჭერი 30 კაპ.

ისყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო საფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში. უმთავრესი საწყობი გ. ფ. იურგენსთან, **მოსკოვში.** (24—1)

ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. გ. თოფურიას

## სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიური გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები სნეულებით და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.




მოითხოვეთ ყველგან ნაღდვილი

„ოდონტოლიტი“ მ. კ. ლებედევის“

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენიმე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

ისყიდება ტფილისში — საფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

(33—6—32)

## ВОКРУГЪ СВѢТА.

ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛЪ.

ВСѢ ПОДПИСАВШІЕСЯ НА 1904 ГОДЪ ПОЛУЧАТЪ:

**50** №№ художественно-литературнаго журнала. Романы.—Повѣсти.—Путешествія.—Иллюстраціи.—1.200 столбцовъ текста. ПОЛЕЗНЫЯ СВѢДѢНІЯ по общедоступной медицинѣ и гигіенѣ.—По техникѣ.—По домашнему хозяйству.—По садоводству, цвѣтоводству и огородничеству.—Игры и забавы.—Иллюстраціи.

**12** выпусковъ МОДНАГО ЖУРНАЛА.

**12** выпусковъ ВЫШИВОКЪ И ВЫПИЛИВАНІЙ

**16** книгъ иллюстрированнаго собранія сочиненій ВАЛЬТЕРА СКОТТА.

**8** книгъ иллюстрированнаго собранія сочиненій писателя КОНАНЪ-ДОЙЛЯ.

БОЛЬШОЙ ТОМЪ ВЪ 320 СТРАНИЦЪ БОГАТО ИЛЛЮСТРИРОВАННОЙ ИСТОРІИ ЦАРСТВОВАНІЯ ИМПЕРАТОРА АЛЕКСАНДРА II, со множествомъ портретовъ и рисунковъ.

ОСВОБОЖДЕНІЕ КРЕСТЬЯНЪ. Картина акад. К. В. ЛЕБЕДЕВА, размѣромъ 17×24 вершка.

ЦѢНА на годъ съ доставкой и пересылкой **4 р.** То же съ картиной **5 р.** Разсрочка: при подпискѣ 2 р. къ 1 апрѣля 1 р. къ 1 іюля 1 р.

Адресъ: Москва, Петровка, д. Грачева, № 21, редакція журнала „Вокругъ Свѣта“.

Журналъ издается Т-вомъ И. Д. Сытина.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართშორის წ.-კითხვის გამავრცელებელ სა-

ზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

## ქაჯანა

2.

## ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფას-ად დებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Общество распрстр. грамотносги.




ს.-პეტერბურგის კომპანია

## „ნადეჟდა“

ღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად.

**დაარსებულია 1847 წელს**

| | |
|---|---|
| **მარითადა თანხა** . . . . | 1.650.000 მან. |
| **სათადარიგო თანხა** . . . . | 2.664.808 მან. |

დაზღვევის ოპერაციები.

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვით არხით.

გ) დაზღვევა ცეცხლისაგან უოველგვარ ქონებისა.

ბ) დაზღვევა უოველგვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბირჟების ვაგონების და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) დაზღვევა განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან-სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციის აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგება ს.-პეტერბურგის კომპანიის **ნადეჟდას**„-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლშია, გრიბოედ ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433. (50—6.—16)


## ბალანსი ტფილისის სამეურნეო ბანკისა

1 თებერვალს, 1904 წელს.

აქტივი.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| I. კასა (ქაღალ. და ოქრო-ვერცხლის ფული). | 31247 | 59 |
| II. მიმდინარე ანგარიშები: კერძო საკრედიტო დაწესებ. | 649 | 52 |
| III. პირობა დადებული მიმდინარე ანგარიში სახელმწ. ბანკის ტფილისის განყოფ. . | 1111 | 99 |
| IV. სარგებლიანი ქაღალდები, საზოგადოების საკუთვნონი: ა) უზრუნველ-ყოფილნი: . 1591—76; ბ) არა-უზრუნველ-ყოფილნი 8379—50 | 9971 | 26 |
| V. სარგებლიანი ქაღალდები, სათადარიგო თანხის საკუთვნონი . . . . | 8567 | 24 |
| VI. განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცზე არა ნაკლებს უწერია ხელი | 304409 | 80 |
| VII. სოლო ვექსილით გაცემული სესხი, უზრუნველ-ყოფილი სოფლის უძრავის მამულით. . . . . . | 500 | — |
| VIII. პროტესტ-ქმნილი ვექსილები. . . | 500 | — |
| IX. განაღდება ვადიანი ქაღალდებისა. | 1052 | 25 |
| X. გირაოთი გაცემული სესხი: ა) სახელმწიფოს ან მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ ფას. ქაღალ. . 19150—50; ბ) არა-უზრუნველ-ყოფილ ქაღ. 44006—00; გ) საქონელზედ . . . 24566—00; დ) სასოფლო-სამეურნეო ნაწარ. 9079—00 | 96801 | 50 |
| XI. %% კუპ., %% ქაღ. სათ. თანხ. საკუთ. | 1 | 64 |
| XII. დასაბრუნებელი ხარჯი . . . | 87 | 06 |
| XIII. მოწყობა და მომართვა . . . | 2027 | 81 |
| XIV. კორესპონდენტები: ა) იმათის ანგარიშით (loro) 58412—63; ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro) 26017—26 | 84429 | 89 |
| XV. გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღ | 36 | 62 |
| XVI. სხვა-და-სხვა დებიტორები . . . | 658 | 12 |
| XVII. მიმდინარე ხარჯები . . . | 1962 | 33 |
| XIIIV. გადასაცემი თანხა. . . | 863 | 20 |
| ბალანსი | 544877 | 82 |

პასივი.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| I. თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 819 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრ ფულის 10%-გან. | 91579 | — |
| II. სათადარიგო თანხა: . . | 8592 | 26 |
| III. შემოტანილი თანხა: ა) მიმდინარე ანგარიშით . 116461—19; ბ) ვადით . . . 142851—34; გ) უვადოთ . . 2925—00 | 262237 | 53 |
| IV. გარდასაცემი თანხა . . . . | 1394 | 05 |
| V. გარდასახდელი სარგებელი . . . | 1739 | 52 |
| VI. სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა . . . | 1 | 86 |
| VII. წევრთა მიერ შემოტანილი და უკან არ მოთხოვნილი საზოგად. წესდ. მე-12 და-13 §§ ის თანახმად . . . | 806 | — |
| VIII. გასაგზავნათ მიღებული თანხა . . | 280 | — |
| IX. კორესპონდენტები: ა) იმათის ანგარიშით (loro) 21097—36; ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro) 44283—70 | 65381 | 06 |
| X. სპეციალ. მიმდინარე ანგარიში სახელმ. ბანკის ტფლისის განყოფ. , . | 20207 | 75 |
| XI. გადაგირავებული ვექსილები: ტფილ. სახ ბანკის განყოფილებაში . 28724—00; კერძო ბანკში . . . 50000—00 | 78724 | 50 |
| XII. წაუღებელი დივიდენდი წარსულ წლებ. | 3930 | 18 |
| XIII. მიღებული სარგებელი . . . | 2062 | 87 |
| XIV. 1903 წლის წმინდა მოგება. . . | 7941 | 24 |
| ბალანსი. | 544877 | 82 |
| პასუხის-მგებლობა 819 წევრისა 10%-იან შემოსატან გარდ. . . . . | 824211 | — |
| საზოგადოებას აქვს გარდაცემული შეხანახად ქონება . . . . . | 10100 | — |
| თამასუქები საკომისიოდ. . . . . | 13382 | 18 |

Дозволено цензурою Тифлисъ, 23 февраля 1904 г. Тип. Е И. Хеладзе, Рус. базаръ арм. домъ, семинарiи.